

## სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სტუდენტთა ვალდებულებებსა და ქცევის წესებს ითვალისწინებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე და 44-ე მუხლები, ბხსუ-ს წესდება [http://batu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_3011\\_1.pdf](http://batu.edu.ge/text_files/ge_file_3011_1.pdf), შინაგანაწესი [http://batu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_2521\\_1.pdf](http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2521_1.pdf), ფაკულტეტების დებულებები [http://batu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_2662\\_1.pdf](http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2662_1.pdf); [http://batu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_2668\\_1.pdf](http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2668_1.pdf); [http://batu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_2659\\_1.pdf](http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2659_1.pdf), სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი [http://batu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_2260\\_1.pdf](http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2260_1.pdf), სტუდენტური თვითმმართველობის დებულება [http://batu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_31\\_1.pdf](http://batu.edu.ge/text_files/ge_file_31_1.pdf), სტუდენტთან გასაფორმებული ხელშეკრულება და ბხსუ-ს მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტები.

### ✚ სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- მონაწილეობა მიიღოს შემოქმედებით საქმიანობაში და მეცნიერულ კვლევაში;
- შინაგანაწესით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- აირჩიოს სასწავლო პროგრამა;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;
- იყოს სტუდენტური თვითმმართველობის წევრი;
- თანასწორი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე არჩეული იყოს ფაკულტეტის და წარმომადგენლობით საბჭოებში და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში;
- სწავლების მეორე წლიდან ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- კანონმდებლობით ნებადართული წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან/და მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება;
- თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი;
- მოითხოვოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულება და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გაცვლით და სხვა საერთაშორისო პროგრამებში;
- დისციპლინური დევნისას განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები;
- სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.
- ისარგებლოს სხვა უფლებებით, რომლებიც მას მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით.

- ✓ დაუშვებელია უნივერსიტეტის მიერ მატერიალური და ტექნიკური საშუალებების გამოყენება იმგვარად, რომ შეზღუდოს სტუდენტის აზრის გამოხატვის თავისუფლება ან დააწესოს ცენზურა.
- ✓ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნის ობიექტურ შეფასებას შესაბამისი პროცედურების მეშვეობით.
- ✚ სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.
- ✓ ბხსუ ვალდებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საუნივერსიტეტო აქტების შესაბამისად დაიცვას სტუდენტის უფლებები, მათ შესახებ კონციდენციალური ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ.

✚ **სტუდენტი ვალდებულია:**

- დადგენილი წესით და ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია;
- დადგენილ ვადებში და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით დაფაროს სწავლის საფასური ან განსხვავება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ გრანტსა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სწავლის საფასურს შორის;
- შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;
- ისწავლოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კურსი/ კომპონენტი და ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია;
- შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
- გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას;
- შეასრულოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილებები;
- შეასრულოს უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დებულებების მოთხოვნები:
- დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი, წესრიგი, ეთიკის კოდექსი და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
- არ დაუშვას ნებისმიერისაზრის დისკრიმინაცია;
- მართლზომიერად ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

- პატივი სცეს უნივერსიტეტის ტრადიციებს;
  - დაიცვას კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები.
- ✓ სტუდენტის სხვა ვალდებულებები და ქცევის სხვა წესები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით.